Created by Simpo PDF Creator Pro (unregistered version)
http://www.simpopdf.com

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშკრულება №19

ქ. ხონი 23 დეკემბერი 2019 წ.

ერთის მხრივ ააიპ ხონის ახალგაზრდა ტექნიკოსთა სახლის (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის **მედეა გორდაძის** სახით და მეორეს შპს ორგსერვისი (შემდგომში მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ხ. ნემსაძის სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს" ქვეპუნქტის შესაბამისად ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას გამარტივებული შესყიდვის ფორმით **საქონლის** სახელმწიფო შესყიდვაზე.

1. ტერმინთა განმარტებები

1.1 წინამდებარე ხელშეკრულემაში გამოყენებული ტერმინები შეესაბამება „ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის მე–3 მუხლში განმარტებულ ტერმინებს.

2. ხელშეკრულების ობიექტი

2.1 მიმწოდებელი უზრუნველყოფს შემსყიდველისათვის (კლასიფიკატორის კოდი spv 30100000-7,20ლარი , 30200000-123 ლარი) საქონლის მიწოდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 30დეკემბრის ჩათვლით.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 120 (ასოცი) ლარს

3.2 ხელშეკრუელბის ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შესყიდვასთან დაკავშირებულ მიწოდების ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები.

4.1 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაიხადოს შეძენილი საქონლის ღირებულება საანგარისწორებო დოკუმენტაციის (ანგარიშ– ფაქტურა ან/და მიღება–ჩაბარების აქტი). შემსყიდველისათვის წარდგენიდან 5 დღის ვადაში უნაღდო ანგარიშსწორებით.

5. მიღება–ჩაბარებს წესი

5.1 ხელშეკრულების ობიექტი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ შესაბამისი საანგარისწორებო დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ.

6 მხარეთა უფლება – მოვალეობანი

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მომწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს ნივთობრივად და უფლებრივად უდავო საქონელი სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით განუხრელად და ჯეროვნად შეასრულოს ამ ხელშეკრულების პირობები იმ ვადაში, რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ინსპექტირება.

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ გამოყოფილი კოორდინატორი.

7.2 ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.

7.3 ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზაღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლოთ დადგენილი წესით.

Created by Simpo PDF Creator Pro (unregistered version)
http://www.simpopdf.com

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა.

8.1 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იცვლება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.2 საქართველოს სამოქალაქო კოდექსით 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

8.3 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა, რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.

8.4 ხელშეკერულების ერთ–ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რაც უნდა ეცნობოს მხარეს არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

8.5 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა (ფორს–მაჟორი)

9.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით.

9.2 თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი მხარის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს , იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ მაგრამ არანაკლებ მომდევნო კალენარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაბამისი მხარე არ განთავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

9.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1 ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან/და მისი არაჯეროვნად შესრულებისათვის კონკრეტულ შემთხვევაში მიყენებული ზიანის ოდენობით, ურთიერთშეთანხმებით , ან კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12 . ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

13. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
ააიპ ხონის ახალგაზრდა ტექ. სახლი **მის: ახალგაზრდობის # 1** **ს/კ 244970643**	შპს ორგსერვისი ს/კ 212693851 პროკრედიტ ბანკი MIBGGE22 ა/ა GE28PC0133600100067722

14. მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:

Created by Simpo PDF Creator Pro (unregistered version)
http://www.simpopdf.com